საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი

მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსდა ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის სექტორის ბაზაზე (1986). პირველი ხელმძღვ. იყო მ. *ზაალიშვილი* (1986–2000). ინ-ტში კვლევები ტარდებოდა თანამედროვე ბიოლ. სხვადასხვა მიმართულებით (ბიოლ. ძვრადობის ბიოფიზიკა, ბიოლ. მაკრომოლეკულების ფიზიკა და ქიმია, გენომის მოლეკულური ორგანიზაცია).

2010 გაერთიანდა ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინ-ტი, რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი და საქართვ. ექსპერ. ნევროლოგიის სამეცნ.-კვლ. ცენტრი და მ. ბ. და ბ. ფ ი., მათ ბაზაზე შეიქმნა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნ. ცენტრი, რ-საც 2011 ეწოდა ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.